ხელშეკრულება №58

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი, 15 მაისი 2013 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის ვახტანგ წულაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ეკონომიკა-აუდიტი"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") დირექტორის ლიანა დავითაძეს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანებისათვის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა და შესაბამისი აუდიტის დასკვნის მომზადება (CPV-79212000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. შესყიდვის ობიექტის დასახელებები, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფასების ცხრილის (დანართი№1) მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სულხან თამაზაშვილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადა

4.1 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის 124.

4.2 მომსახურების მიწოდება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიადან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურეობის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

7.3. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სულხან თამაზაშვილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
მის: ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის 124.
საიდენტიფიკაციო კოდი 245444906
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიში: GE88LB0121162303587000

ვახტანგ წულაძე_____
სამმართველოს უფროსი

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „ეკონომიკა-აუდიტი“
მისამართი: ნ. იმნაძის ქ.N 6

საიდენტიფიკაციო კოდი: 245425883

ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“

ბანკის კოდი:MIBGGE22

ანგარიშის №GE30PC0033600100024089

ლიანა დავითაძე_____
დირექტორი

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	მომსახურების სახეობა	ავტომანქანის მოდელი და სახელმწიფო ნომერი	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	ავტომანქანისათვის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა და შესაბამისი აუდიტის დასკვნის მომზადება	HONDA GFG-525	79212000	1	100	100
2	ავტომანქანისათვის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა და შესაბამისი აუდიტის დასკვნის მომზადება	MERCEDES E-250 JII-713	79212000	1	100	100
3	ავტომანქანისათვის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა და შესაბამისი აუდიტის დასკვნის მომზადება	VOLVO 940KKK-058	79212000	1	100	100
ჯამი						**300**